ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 01 ივნისის სხდომის

დღის წესრიგი

1.ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ საწვავით სარგებლობის წესის (ინსტრუქციის) დამტკიცების შესახებ

მომხს: კახაბერ გოლუბიანი

2. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლობითი ხარჯების შემადგენლობის, დაფინანსებისა და ხარჯვის წესის დამტკიცების შესახებ

მომხს: კახაბერ გოლუბიანი

3.ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, დაბა ხარაგაულში სოლომონ მეფის ქუჩა **N90**ა-ში მდებარე **2718** კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობის (საკადასტრო კოდი **№ 36.01.31.399)**, ამავე მისამართზე მდებარე **1486** კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობის (საკადასტრო კოდი **№36.01.31.398)** და **100** კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი **№ 36.01.31.396)** სახელმწიფო საკუთრებაში უსასყიდლოდ გადასაცემის შესახებ

მომხს:ჯაბა ბერაძე

4.გენდერული თანასწორობის საბჭოს სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ

მომხს: ინგა ბერაძე

საკრებულოს თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 01 ივნისის სხდომის

ოქმი N 9

დაბა ხარაგაული

9 აპრილის . #15

2020 წლის 01 ივნისი

სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე - მანანა ბარბაქაძე,

სხდომას ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები ,პაატა გოგოლაძე, დავით კიკნაძე, გივი თხელიძე, მალხაზ ფხალაძე, აკაკი ლურსმანაშვილი, ვარლამ ჭიპაშვილი, ოთარ ლურსმანაშვილი, მარინე ხვედელიძე, ეკატერინე შველიძე, რუსუდან გიორგაძე, ლენა აბაშიძე, ნონა ზურაბიანი, დოდო ხაჩიძე, შალვა ლურსმანაშვილი, ირაკლი ფერაძე, პავლე კიკალიშვილი, ვახტანგ ტალახაძე, იულონ კოპაძე, ვლადიმერ ტალახაძე, ჯამბულ გამცემლიძე, ნიკოლოზ მაღრაძე, გივი ხიჯაკაძე, ზურაბ ხაჩიძე, თეიმურაზ ფცქიალაძე, დავით მაღლაფერიძე, აკაკი მაჭავარიანი, თორნიკე ავალიშვილი, ქეთევან ზუმბაძე, მიხეილ ჭიპაშვილი სულ საკრებულოს 29 წევრი.

სხდომას ესწრებოდნენ:

მერიის წარმომადგენელი:

ჯაბა ბერაძე - მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი,

კახაბერ გოლუბიანი - მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი,

საკრებულოს აპარატის წარმომადგენლები:

ლენა კალანდაძე– საკრებულოს აპარატის უფროსი,

ზაალ ორბელაძე - საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში,

ნინო თხელიძე -საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში,

ივანე ჭიპაშვილი - საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწე

საინფორმაციო საშუალებათა წარმომადგენლები:

ე. შავიძე -ა.ა.ი.პ ,,მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების ცენტრის" დირექტორი,

თ. გოგოლაძე – გაზეთ „ჩემი იმერეთის" ჟურნალისტი.

ლ. გოგოლაძე – გაზეთ „ჩემი იმერეთის" დირექტორი.

თ. ბერიძე - მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი,

ლ. ნიქაბაძე - მერის მრჩეველი

ტვ იბიექტივის წარმომადგენლები

მოისმინეს: საკრებულოს თავმჯდომარის მანანა ბარბაქაძის ინფორმაცია, მან საკრებულოს წევრებს წარუდგინა სხდომის დღის წესრიგი

დღის წესრიგი

1.ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ საწვავით სარგებლობის წესის (ინსტრუქციის) დამტკიცების შესახებ

მომხს: კახაბერ გოლუბიანი

2. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლობითი ხარჯების შემადგენლობის, დაფინანსებისა და ხარჯვის წესის დამტკიცების შესახებ

მომხს: კახაბერ გოლუბიანი

3.ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, დაბა ხარაგაულში სოლომონ მეფის ქუჩა N90ა-ში მდებარე 2718 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობის (საკადასტრო კოდი № 36.01.31.399), ამავე

მისამართზე მდებარე 1486 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობის (საკადასტრო კოდი №36.01.31.398) და 100 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი № 36.01.31.396) სახელმწიფო საკუთრებაში უსასყიდლოდ გადასაცემის შესახებ

მომხს: ჯაბა ბერაძე

4.ხარაგაულის გენდერული თანასწორობის საბჭოს2020 წლის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ

მომხს: ინგა ბერაძე

და კენჭის ყრაზე დააყენა საკითხი დღის წესრიგის დამტკიცების თაობაზე

კენჭის ყრის ჩატარებამდე საკრებულოს წევრმა პატრიოტთა ალიანსიდან თ. ფცქიალაძემ მოითხოვა საკითხი - **ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, დაბა ხარაგაულში სოლომონ მეფის ქუჩა N90ა-ში მდებარე 2718 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობის (საკადასტრო კოდი № 36.01.31.399), ამავე მისამართზე მდებარე 1486 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობის (საკადასტრო კოდი №36.01.31.398) და 100 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი № 36.01.31.396) სახელმწიფო საკუთრებაში უსასყიდლოდ გადასაცემის შესახებ** არ განხილულიყო, რადგან არის კითხვები მოსახლეობის მხრიდან,

საკრებულოს წევრების მიერ აღნიშნული მოსაზრება არ იქნა გათვალისწინებული და გამოცხადდა კენჭის ყრა

კენჭის ყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულო 29 წევრი

მომხრ 28

წინააღმდეგი 1

დღის წესრიგი მიღებული იქნა (თან ერთვის)

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსის კახაბერ გოლუბიანის ინფორმაცია საკითხზე - **ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ საწვავით სარგებლობის წესის (ინსტრუქციის) დამტკიცების შესახებ** (თან ერთვის)

აზრი გამოთქვეს:

ვ. ჭიპაშვილმა აღნიშნა, რომ წესი, რომელიც თქვენს წინაშე იქნა წარმოდგენილი შემუშავებული იქნა საკრებულოსა და მერიის შესაბამის სამსახურებთან კოორდინაციით, როგორც თქვენთვის ცნობილია სახელმწიფო აუდიტის მიერ მუნიციპალიტეტის ფინანსური შემოწმების შედეგად აღმოჩენილი ხარვეზების საფუძველზე გაიცა რეკომენდაცია, რომ შემუშავებულიყო აღნიშნული წესი, რომელიც გარკვეულ რეგულაციებს დააწესებდა თანამდებობის პირთა მიერ საწვავის ხარჯვის სფეროში.

თ. ავალიშვილმა დასვა შეკითხვა მომხსენებლის მიმართ რატომ შეიმუშავეს ეს წესი ახლა და არა 8 წლის წინ,

კ. გოლუბიანმა განმარტა, რომ სახელმწიფო აუდიტის რეკომენდაცია იქნა გათვალისწინებული და ამით დავაწესებთ, გარკვეულ რეგულაციებს საწვავის კანონიერი ხარჯვის კუთხით.

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი და კენჭის ყრაზე დააყენა საკითხი

კენჭის ყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულო 29 წევრი

მომხრე 25

წინააღმდეგი 0

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსის კახაბერ გოლუბიანის ინფორმაცია საკითხზე - **ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლობითი ხარჯების შემადგენლობის, დაფინანსებისა და ხარჯვის წესის დამტკიცების შესახებ** (თან ერთვის)

აზრი გამოთქვეს:

ვ. ჭიპაშვილმა აღნიშნა, რომ აღნიშნული წესი ასევე სახელმწიფო აუდიტის რეკომენდაციის საფუძველზე მომზადდა და ამ წესით მოხდება წარმომადგენლობითი ხარჯის კანონიერი ხარჯვა

თ. ავალიშვილმა დასვა შეკითხვა მომხსენებლის მიმართ რატომ რა იყო მიზეზი ეს წესის მირების, ჩვენ აუდიტის დასკვნა საკრებულოს სხდომაზე არ განხილულა

კ. გოლუბიანმა განმარტა, ვინმეს, რომ არ დარჩეს კითხვის ნიშნები წარმომადგენლობითი ხარჯის ხარჯვასთან დაკავშირებით გარკვეულ ჩარჩოში მოექცევა ხარჯვა თუ თქვენ კითხვები გაქვთ საკითხზე მიმართეთ შესაბამის ორგანოს და მიიღებთ პასუხს.

მ. ჭიპაშვილმა აღნიშნა, რომ ამ გადაწყვეტილების მიღებით რა მოიგო რიგითმა მოქალაქემ, იხარჯებოდა თანხა და ისევ დაიხარჯება, რატომ ვართ ვალდებული ვუმასპინძლოთ ყველა სტუმარს.

თ. ფცქიალაძემ აღნიშნა, როდის უნდა დამთავრდეს ძველი მთავრობისა და ახალი მთავრობის ძახილი და ერთმანეთზე გადაბრალება ისინი თუ იყვნენ ცუდი ახლა თქვენ ხართ ცუდი.

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი და კენჭის ყრაზე დააყენა საკითხი

კენჭის ყრაში მონაწილეობდა 29 წევრი

მომხრე 26

წინააღმდე 3

საკრებულომ გადაწყვიტა: განკარგულება მიღებული იქნეს (თან ერთვის).

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის ჯ. ბერაძის ინფორმაცია საკითხზე - **ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, დაბა ხარაგაულში სოლომონ მეფის ქუჩა N90ა-ში მდებარე 2718 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობის (საკადასტრო კოდი № 36.01.31.399), ამავე მისამართზე მდებარე 1486 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობის (საკადასტრო კოდი №36.01.31.398) და 100 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი № 36.01.31.396) სახელმწიფო საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ** (თან ერთვის).

საკითხის განხილვის პარალელურად საკრებულოს წევრებს და სხდომაზე დამსწრე საზოგადოების წარმომადგენლებს მიეწოდა საკრებულოს აპარატის პიარ სპეციალისტების მიერ მომზადებული ვიდეო მასალა დაბა ხარაგაულში ყოფილი წყალსადენის ტერიტორიაზე სახელმწიფოსათვის საკუთრებაში გადასაცემი მიწის ნაკვეთების შესახებ და ასევე სატენდერო პირობების შესახებ .

აზრი გამოთქვეს:

ვ. ჭიპაშვილმა კითხვით მიმართა მომხსენებელს არის ინფორმაცია, არ ვადასტურებ, რომ მერია არ აპირებს მიწის ნაკვეთის გადაცემას სახელმწიფოსათვის

ჯ. ბერაძემ მომხსენებელმა უპასუხა რომ მე ჩემი პოზიცია არაერთხელ დავაფიქსირე და დღესაც ვამბობ, რომ ხარაგაულს წყალი ჭირდება ეს არის ჭეშმარიტება.

თ. ფცქიალაძემ რომელიც მხარს არ უჭერს საკითხის განხილვას და აღნიშნავს, რომ ამ პრობლემის გადაწყვეტა მარტივად არის შესაძლებელი მუნიციპალიტეტის მიერაც ,მოითხოვა საკითხის გადადება გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის წარმომადგენლების მოწვევა განმარტების მიღება

ჰ. გოგოლაძემ- ფრაქცია „ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველოს „ თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მაქსიმალურად შეისწავლა საზოგადოებრივი აზრი, მოსახლეობა ითხოვს 24 საათიანი წყლის მიწოდებას, რაც შეეხება პასუხს მაქვს თუ არა კონსულტაციები გავლილი გეტყვით, რომ გავლილი მაქვს სერიოზული, კვალიფიციური კონსულტაციები კომპანიის წარმომადგენლებთან, არაერთგზის და მივედი იმ გადაწყვეტილებამდე, რომ ხალხს ჰქონდეს წყალი.

მ. ჭიპაშვილმა აღნიშნა, რომ დაცული უნდა იყოს კერძო საკუთრებაში არსებული ჭაბურღილი და არ უნდა შეექმნას პრობლემა.

ჯაბა ბერაძე საკითხის ინიციატორმა მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსმა აღნიშნა, რომ საკითხი შესწავლილი იქნა მრავალგზის, ბოლოს რამდენიმე დღის წინ ონლაინ შეხვედრა მქონდა, ლეღვნის წყალსადენის მოწყობა იმდაგვარად, რომ წვიმის დროს არ მოხდეს წყლის ამღვრევა ჯდება ძალიან ძვირი, ამიტომ მონახეს ალტერნატივა, დაბაში დამატებითი ჭაბურღილის მოწყობის გზით, რომელიც უზრუნველყოფს მოსახლეობის მომარაგებას სუფთა წყლით ნებისმიერ მომენტში 24 საათის განმავლობაში, ტერიტორიაზე, რომელზედაც ცვენ ვსაუბრობთ ვინმეს საკუთრება ში არსებული ჭაბურღილი არ არსებობს.

ხარაგაულში უკანონოდ იხდის წყლის გადასახადს, მოგვაწოდებენ კი ნამდვილად?
დ. კიკნაძემ აღნიშნა, რომ ვინმე თუ ითვალისწინებს საღანძილისა და დიდვაკის მოსახლეობის აზრს, რომლებსაც წყალი ჭირდებათ და აქვთ პრობლემა, დაიწყებენ ფუნქციონირებას ბაღები, სკოლები, დაწესებულებები წყალი 24 საათის განმავლობაში ყველას ჭირდება, ამაზე წინააღმდეგი , როგორ უნდა წავიდეთ.
სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი და კენჭის ყრაზე დააყენა საკითხი
კენჭის ყრაში მონაწილეობდა 27 წევრი
მომხრე 26
წინააღმდეგი 0
თავი შეიკავა 1
საკრებულომ გადაწყვიტა: განკარგულება მიღებული იქნეს (თან ერთვის).

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის მრჩევლის გენდერულ საკითხებში, მუნიციპალიტეტის გენდერული საბჭოს მდივნის ი. ბერაძის ინფორმაცია საკითხზე - **ხარაგაულის გენდერული თანასწორობის საბჭოს2020 წლის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ** (თან ერთვის)

საკითხთან დაკავშირებით კითხვები არ დასმულა.
სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი და კენჭის ყრაზე დააყენა საკითხი
კენჭის ყრაში მონაწილეობდა 27 წევრი
მომხრე 26
წინააღმდე 0
თავი შეიკავა 1

საკრებულომ გადაწყვიტა: განკარგულება მიღებული იქნეს (თან ერთვის).

ამით საკრებულოს სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურა და სხდომა დახურულად გამოცხადდა

საკრებულოს თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე